



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული  
სააგენტო**



KA020165714607822

**თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30**

**ბრძანება № 1454/ს**

**30 / დეკემბერი / 2022 წ.**

**ი/მ „ვახტანგ დადიანი“-ზე (ს/კ 19001069303) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1003173 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

იმ „ვახტანგ დადიანი“ (ს/კ 19001069303) ფლობს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 04 დეკემბრის N1970/ს ბრძანების საფუძველზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1003173 ლიცენზიას (25 წლის ვადით), ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭითაწყარის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 20 დეკემბრის N2578 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება ი/მ „ვახტანგ დადიანი“-ს გარდაცვალების ფაქტი.

2021 წელს, სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადის დარღვევის გამო, ი/მ „ვახტანგ დადიანი“-ს მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. სასამართლოს ზეპირი მოსმენის სხდომაზე, გამოირკვა რომ ლიცენზიის მფლობელი - ი/მ „ვახტანგ დადიანი“ არის გარდაცვლილი. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 20 აგვისტოს დადგენილების (საქმის N4/ა-487-21) საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ი/მ „ვახტანგ დადიანი“-ს მიმართ.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.ა“ პუნქტის საფუძველზე, გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ი/მ „ვახტანგ დადიანი“-ს მემკვიდრის დადგენის მიზნით.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2021 წლის 31 დეკემბრის N16/15378 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში, 2020 წლის 11 დეკემბერს გარდაცვლილი ვახტანგ ჟორჯის ძე დადიანის (პირადი N19001069303) სამკვიდრო ქონებაზე, 2021 წლის 22 ივნისს, გიორგი დადიანის (პირადი 19001005367, მცხოვრები: ზუგდიდი კ.თათარიშვილის ქ. N28) მიმართ გაცემულია სამკვიდრო მოწმობა.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 ნოემბრის N22/8903 წერილით, ი/მ „ვახტანგ დადიანი“-ს მემკვიდრეს-გიორგი დადიანს განემარტა, რომ მას აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის, მემკვიდრეობის გზით მიღების უფლება და ამასთან, მას განესაზღვრა 10 სამუშაო დღე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში გამოცხადებისა და ლიცენზიასთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად. ზემოაღნიშნული წერილი, გაგზავნილ იქნა ნოტარიუსთა პალატის მიერ წარმოდგენილ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის ჩაბარება ვერ განხორციელდა. გიორგი დადიანს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით მიღების მოთხოვნით, დღეის მდგომარეობითაც, არ მოუმართავს სააგენტოსთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი, ი/მ „ვახტანგ დადიანი“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით გადაცემის მიზნით, თუმცა მემკვიდრის მხრიდან ინტერესი არ იქნა გამოვლენილი. ლიცენზიის ამგვარ მოცემულობაში არსებობის პირობებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა.


სააგენტო ვერ განახორციელებს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ სახეზეა ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველები.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7<sup>5</sup> მუხლის 1<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 20 დეკემბრის N2578 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

### **გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 04 დეკემბრის N1970/ს ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ი/მ “ვახტანგ დადიანი“-ზე (ს/კ 19001069303) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1003173 ლიცენზია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭითაწყარის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად 

ანდრო ასლანიშვილი